

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომა**

**5 სექტემბერი 2008 წელი**

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:  
ქ. თბილისი, ბარნოვის 75

**სხდომის დაწყების დრო: 18:30სთ.**

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:**

გოჩა სვანიძე (სხდომის თავმჯდომარე), ზვიად კორძაძე, დავით ლანჩავა, დავით ასათიანი, როინ მივრიაული.

**დღის წესრიგი:**

1. ადვოკატ მამუკა ნოზაძის ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობის შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ;
2. ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობის მიმართულებების შესახებ;
3. სხვა მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით

**სხდომამ მოისმინა:**

გოჩა სვანიძე – ვინაიდან ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამატყუნებელი განაჩენი, აღმასრულებელი საბჭო წესდების მე-15 მუხლის თანახმად ცნობად მიიღებს მ. ნოზაძის უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტს.  
აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრი.

აღმასრულებელი საბჭომ გადაწყვიტა:

ცნობად იქნას მიღებული, რომ მ. ნოზაძეს შეუწყდა ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა.

*გადაწვევტილება მიღებულ იქნა ერთხმად.*

**დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2 საკითხთან დაკავშირებით**

დღის წესრიგის მეორე საკითხად სხდომამ განიხილა აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობის მიმართულებები და განსაზღვრა პასუხისმგებელ პირთა ვინაობა:

**აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობის მიმართულებები:**

1. საკანონმდებლო ცვლილებებისა და პრაქტიკის განზოგადების ჯგუფი – გოჩა სვანიძე
2. სახელმწიფოსთან ურთიერთობის ჯგუფი – ზვიად კორძაძე
3. წევრებთან და რეგიონებთან ურთიერთობის ჯგუფი – დავით ლანჩავა
4. საერთაშორისო ურთიერთობები – დავით ასათიანი
5. ადვოკატთა ტესტირება და სასწავლო ცენტრი – როინ მიგრიაული
6. პრესა, ჟურნალი. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი – გოჩა სვანიძე
7. ადვოკატთა უფლებების დაცვის ჯგუფი – ზაზა ხატიაშვილი
8. საერთო მენეჯმენტი – გოჩა სვანიძე

აღმასრულებელი საბჭოს წევრებს დაევაღათ სამუშაო გეგმის წარმოდგენა მოქმედების სფეროს მიხედვით.

მესამე საკითხად სხდომამ განიხილა ადვოკატთა ასოციაციის აპარატის თანამშრომელთა შორის ფუნქციების განაწილების საკითხი.

დაევალა ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს გოჩა სვანიძეს განახლებული საშტატო განრიგის წარდგენა აღმასრულებელი საბჭოს მორიგ სხდომაზე ა/წ 10 სექტემბერს.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ  
და ხელს აწერენ:

გოჩა სვანიძე  
(სხდომის თავმჯდომარე)

დავით ლანჩავა

დავით ასათიანი

როინ მიგრიაული.

ზვიად კორძაძე